

შპს "პერსპექტივა"-ს ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხა წარმოდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		31.12.2019	31.12.2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5.00	1,055,658	1,116,711
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>1,055,658</u>	<u>1,116,711</u>
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები	6.00	10,634	13,499
მისაღები პროცენტი	7.00	2,128	
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	8.00	17,447	78,778
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9.00	15,856	18,604
ფული ანგარიშებზე	10.00	197,649	86,949
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>243,715</u>	<u>197,829</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>1,299,372</u>	<u>1,314,540</u>
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	11.00	1,292,468	1,292,468
	11.00	2,902	6,296
<u>სულ კაპიტალი</u>		<u>1,295,370</u>	<u>1,298,764</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები			
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>-</u>	<u>-</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12.00	3,238	10,671
მიღებული ავანსები	13.00	130	195
გადასახდელი ხელფასები	14.00	121	2,273
საპენსიო ანარიცხი	15.00	47	
საგადასახადო ვალდებულებები	16.00	466	2,638
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>4,003</u>	<u>15,776</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>1,299,372</u>	<u>1,314,540</u>

2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნები და ვალდებულებების წარმოდგენილი იყო ურთიერთგადაფარვით, 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული დაკორექტირდა წარმოდგენილია შესაბამის მუხლებში

დირექტორი: ი. ხუბაშვილი
25 სექტემბერი 2020

-

-

შპს "პერსპექტივა"-ს სპეციალური
 დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019
 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხა
 წარმოდგენილია ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

31.12.2019

31.12.2018

შემოსავლები	17	404,917	377,908
თვითღირებულების ხარჯები	18	(19,571)	(36,172)
საერთო მოგება		385,346	341,736
სხვა შემოსავლები	19	10,680	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(345,382)	(315,870)
სხვა ხარჯი	21	(70,627)	
საოპერაციო მოგება		50,644	25,866
საფინანსო შემოსავალი	22	17,465	7,450
საფინანსო ხარჯი	23		(3,293)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		-	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	-
მოგება/ზარალი		(2,519)	30,023
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება/ზარალი		(2,518.80)	30,023

დირექტორი: ი.ხუბაშვილი
 25 სექტემბერი 2020

შპს "პერსპექტივა"-ს ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	31.12.2019	31.12.2018
<u>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>		
მომსახურებიდან მიღებული თანხები	469,378	444,713
%-ის შემოსავალი	16,192	7,450
მომწოდებელზე გადახდილი თანხები	(37,330)	(66,517)
ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემი	(198,912)	(178,853)
სოციალური ანარიცხი	(6,594)	
გადახდილი გადასახადები	(130,914)	(99,500)
%-ზე გადახდილი თანხები		(3,293)
საბანკო	(319)	(363)
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>111,500</u>	<u>103,637</u>
<u>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(800)	(86,138)
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	<u>(800)</u>	<u>(86,138)</u>
<u>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>		
სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები		
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(14,243)
<u>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</u>	<u>-</u>	<u>(14,243)</u>
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად ნაკადებზე		
<u>ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში</u>	<u>86,949</u>	<u>83,693</u>
<u>ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</u>	<u>197,649</u>	<u>86,949</u>

2018 წლის მოთხოვნები და ვალდებულებები წარმოდგენილი იყო უერთფეროგადათავრებით, რაც დაკორექტირდა 2019 წლის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შესამის მუხლოში

დირექტორი: ი. ხუბაშვილი

თარიღი: 25.09.2020

შპს "პერსპექტივა"-ს ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხა წარმოდგენილია ლარში

მუხლი:11

	საწესდებო კაპიტალი	მოგება/ზარალი	კაპიტალის შემცირება	სულ
2018 წლის 1 იანვრისთვის	1,339,075	(23,726)		1,315,349
				-
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით				-
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა /შემცირებამაერიალური გზით	(46,607)			(46,607)
მოცემული პერიოდის მოგება/ზარალი		30,022		30,022
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,292,468	6,296	-	1,298,764

დირექტორი: ირაკლი ხუბაშვილი
 25 სექტემბერი 2020

შპს "პერსპექტივა"-ს ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხა წარმოდგენილია ლარში

მუხლი:11

	საწესდებო კაპიტალი	მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ
2019 წლის 1 იანვრისთვის	1,292,468	6,296		1,298,764
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით				-
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ქონებრივი შენატანით				-
მოცემული პერიოდის მოგება/ზარალი		(2,519)		
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,292,468	3,777	-	1,296,245

დირექტორი: ი. ხუბაშვილი
 25 სექტემბერი 2020

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „პერსპექტივა“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „პერსპექტივა“ ს/კ (404924276) დაარსდა 2011 წელს, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ.ყაზბეგის #42

ფაქტობრივი მისამართი: ალ.ყაზბეგის #42. თბილისი, საქართველო

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 44 ადამიანს. (2018 წელს - 36)

დამფუძნებელი: 205390511, საჯარო სამართლის იურიდიული პირი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, -100 %

შპს „პერსპექტივა“-ს დირექტორის ცვლილება განხორცილდა შემდეგნაირად:

რეგისტრაციის თარიღი	სახელი გვარი	პირადი #
27/06/2018	ნიკოლოზ ხარებავა	პ/ნ 36001033583,
12/06/2019	ირმა კაციტაძე	პ/ნ 01001017678,
06/03/2020	ირაკლი ხუბაშვილი	პ/ნ 01027035101.

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებებთან ხანგრძლივი პაემნის განხორციელების მომსახურება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და პენიტენციური დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო ორგანული ნარჩენის გატანა და გასხვისება; კომპანია ახორციელებს სოციალურ პროგრამას სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების პროცესში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) საფუძველზე.

2.2 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2.3 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებებზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიების აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მითითებულ შენიშვნებში.

2.4 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში. კომპანიას არ აქვს განხორციელებული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

ბუღალტრული აღრიცხვის მიღებული პოლიტიკა წინა ფინანსური წლის პოლიტიკის შესაბამისია

3.1 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, არებობის შემთვევაში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში არსებული მუხლები კომპანიას არ გააჩნდა და შესაბამისად მათი გადაფასება არ განხორციელებულა.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ზარალი, რომელიც წარმოშობილია ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში, ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება აღიარდება ხარჯებში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით და ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფისთვის განსაზღვრული პროცენტი წარმოდგენილია შემდეგნაირად.:

- შენობა ნაგებობები -3%-5 %
- ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი 20%

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებით თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, (გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით), თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს

მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ კომპანია აპირებს მის გამოყენებას აქტივის მთელი ფიზიკური ვადის განმავლობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში იცვლება თითოეული საანგარიშგებო თარიღის ბოლოს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს,

ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასების ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

3.3 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ასევე განაპირობებს აქტივების ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- აქტივების მოსალოდნელი გამოყენება;
- მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და
- საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

3.4 არამატერიალური აქტივი

კომპანიას არ აქვს ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები.

3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მომდევნო პერიოდებში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებელი თანხების სავარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული ანარიცხები იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას

მიღებული სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, როდესაც ეს უკანასკნელი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული.

3.6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.7 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, განეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.8 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადი აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე, რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განსაზღვრული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების

ნაწილს. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც:

- ჯგუფი ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის;
- იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და
- იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული

მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად.

კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის, ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

3.9 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

3.10 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.11 ფინანსური იჯარა

იჯარის ვადის დასაწყისისათვის კომპანია აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივებს და ვალდებულებებს საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე

ნაკლებია, მინიმალური საიტარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიტარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) ემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

მინიმალური საიტარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთს წარმოადგენს საიტარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

3.12 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც

კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა

ფინანსური აქტივი თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით და კორექტირდება გარიგების დანახარჯებით.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

შ.პ.ს „პერსპექტივა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
 - ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.
- ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში აისახება ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ

აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი

თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს.

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL). ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების

ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება:

- მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით,
- ფულის ღრითი ღირებულება და
- ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეთისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ფინანსური აქტივები – ჩამონერა.

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის

ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამონერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოიწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა.

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც

(ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან

(ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ („AC“), გარდა

- “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს, პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ესკატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას, და
- ფინანსური საგარანტიოს ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება, (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწმდება). კომპანიამ შეწყვიტა ხანდაზმული ვალდებულებების აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა.

ურთიერთგადაფარვის უფლება:

- (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და
- (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს შემდეგ გარემოებებში:

ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, დეფოლტი და (გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

3.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) არამატერიალური აქტივების, მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებისა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და

შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.14 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო გულისხმობს ყველა სახის ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში განეული მომსახურების სანაცვლოდ, ან დაქირავებული პირის შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის

თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ განეული ზემოაღნიშნული შრომითი ურთიერთობის სანაცვლოდ.

3.15 გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია

აქტივთან, რომელიც სანყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ

ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში.

3.16 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია აკუმულირებული მოგებით და დამფუძნებლის მიერ მიერ განხორციელებული შენატანით. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.17 ანარიცხები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება

ეკონომიკურ სარგებელში განოვთებული რესურსების გასვლა. როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

3.18 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში

ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც

მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში

გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები

ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.19 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

კომპანია შემოსავალს აღიარებს შემდეგი მოვლენების დადგომისას:

- ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქონლიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების შესრულების ვალდებულება აიღეს;
- საწარმოს შეუძლია გადასაცემ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;
- საწარმოს შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;
- ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ანაზღაურების თანხის მიღების ალბათობის შესაფასებლად, საწარმო განიხილავს

მომხმარებლის უნარი და განზრახვას, გადაიხადოს მოცემული ანაზღაურების თანხა, მისი გადახდის ვადის დადგომისას. ანაზღაურების ოდენობა, რომლის მიღების უფლებაც

საწარმოს აქვს, შეიძლება ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე ნაკლები იყოს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურების სიდიდე ცვალებადია იმის გამო, რომ საწარმომ შეიძლება ფასდათმობა შესთავაზოს მომხმარებელს.

დაფინანსების კომპენენტო: კომპანია არ მოელის იმგვარ სახელშეკრულებო ურთიერთობას, სადაც ამონაგების მიღების თანხა მომსახურების/საქონლის მიწოდებისან ერთ წელს გადააჭარბებს. შესაბამისად არ გაითვალისწინება ფულის დროითი ღირებულება.

საპროცენტო შემოსავალი- მოთხოვნამდე დეპოზიტზე რიცხული საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, გამოითვლება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და ასახულია მუხლში “ფინანსური შემოსავალი”

3.20 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადაა წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დანყებული წლიური პერიოდებისთვის).

- ფასს 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით “ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარიდან)

- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დანყებული წლიური პერიოდებისთვის).

- ცვლილებები ასს 28 “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ” (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დანყებული წლიური პერიოდებისთვის).

- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დანყებული წლიური პერიოდებისთვის).

შ.პ.ს „პერსპექტივა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

• ცვლილებები ასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

- ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის)

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

კომპანია არ მოელის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი. საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ

შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულს, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული

ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებოს ანარმოს შესახებ.

Covid-19-თან დაკავშირებული კონცესიები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგენ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ შესწორებებმა მოიტარა (და არა შეიტარა) მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავსების ფორმით გამოხატული შედეგით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან

დაკავშირებული ქირავნობის კონცესია წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიტარეს შეუძლია აირჩიოს ქირავნობის კონცესიის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ბევრ შემთხვევაში, ეს აისახება კონცესიის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიტარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ ქირავნობის კონცესიებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიტარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო.

5. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 1,055,658 ლარს, ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით და შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ღირებულებით. ხოლო, უზურფრუქტით გადმოცემული ქონება აღიარებულია რეალური ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

შ.პ.ს „პერსპექტივა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	შენობა	სულ ჯამი
2018 წლის 01 იანვარი	39,212	56,666	1,323,442	1,419,320
შემოსავალი	17,517		57,434	74,951
გასავალი			46,607	46,607
2018 წლის 31 დეკემბერი	56,730	56,666	1,334,268	1,447,664
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				-
2018 წლის 01 იანვარი	21,275	23,997	228,794	274,066
წლის ცვეთა	7,091	6,534	43,263	56,888
2018 წლის 31 დეკემბერი	28,366	30,531	272,057	330,953
საბალანსო ღირებულება 2018 31.12	28,363	26,135	1,062,212	1,116,711
ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	შენობა	სულ ჯამი
2019 წლის 01 იანვარი	56,730	56,666	1,334,268	1,447,664
შემოსავალი	678			678
გასავალი				
2019 წლის 31 დეკემბერი	57,407	56,666	1,334,268	1,448,342
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
2019 წლის 01 იანვარი	28,366	30,531	272,057	330,953
წლის ცვეთა	5,808	5,227	50,695	61,731
2019 წლის 31 დეკემბერი	34,174	35,758	322,752	392,684
საბალანსო ღირებულება	23,233	20,908	1,011,517	1,055,658

6. გადახდილი ავანსები

	31.12.2019	31.12.2018
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	5,634	4,276
წინასწარ გადახდილი ხარჯი	5,000	5,000
ავანსად გადახდილი ხელფასი	-	1,937
მიღებული ავანსები	-	2,286
სულ	10,634	13,499

მენეჯმენტმა განიხილა პრომითი ურთიერთობის ფარგლებში ავანსად ანაზღაურებული თანხების მიღების სავარაუდო ღონე, და შეფასების საფუძველზე განსაზღვრა უიმედო დავალიანების თანხის ოდენობა.

7. მისაღები პროცენტები

კომპანიას საბანკო ანგარიშზე აქვს მოთხოვნამდე დეპოზიტი, რასაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი

	31.12.2019	31.12.2018
მისაღები პროცენტები	2,128	-
სულ	2,128	-

8. დარიცხული მოთხოვნები

მოთხოვნა არის მოკლევადიანი და აღირიცხება ქართულ ლარში. მენეჯმენტმა შეაფასა მოთხოვნების მიღების ალბათობა და განსაზღვრა უიმედო დავალიანების თანხა, რომელიც აღიარა ხარჯებში. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოთხოვნების ნაწილი ვადაგადაცილებულია.

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	17,447	78,778
სულ	17,447	78,778

9. სასაქონლო -მატერიალური მარაგები

მარაგების თვითღირებულება გაანგარიშებულია საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

	31.12.2019	31.12.2018
საქონლის მარაგი	15,856	18,604
სულ	15,856	18,604

10. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

	31.12.2019	31.12.2018
ფული საბანკო ანგარიშებზე ლარი	197,649	86,949
სულ	197,649	86,949

11. კაპიტალი

11.1 კომპანიის კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შეადგენს 1,294,996. ლარს

	31.12.2019	31.12.2018
კაპიტალი	825,000	825,000
სარეზერვო კაპიტალი	467,468	467,468
სულ	1,292,468	1,292,468

11.2 გაუნაწილენელი მოგება

	31.12.2019	31.12.2018
გაუნაწილენელი მოგება	2,902	6,296
სულ	2,902	6,296

12. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2019	31.12.2018
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,238	3,481
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	-	7,190
სულ	3,238	10,671

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეტაპზე შეაფასა ფინანსურ ანგარიშგებაში დავალიანებები, ხანდაზმულად მიჩნეული დავალიანებების აღიარა შემოსავალში

13. მიღებული ავანსები

	31.12.2019	31.12.2018
მიღებული ავანსები	130	195
სულ	130	195

14. გადასახდელი ხელფასი

	31.12.2019	31.12.2018
გადასახდელი ხელფასი	121	2,273
სულ	121	2,273

15. საპენსიო ანარიცხი

	31.12.2019	31.12.2018
საპენსიო ანარიცხი	47	-
სულ	47	-

16. საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2018
საგადასახადო ვალდებულებები	466	2,638
სულ	466	2,638

17. შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან

	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	404,917	377,908
სულ	404,917	377,908

18. თვითღირებულების ხარჯი

	31.12.2019	31.12.2018
თვითღირებულების ხარჯი	19,571	36,172
სულ	19,571	36,172

19. სხვა შემოსავლები

	31.12.2019	31.12.2018
სხვა საოპერაციო შემოსავალი (ხანდაზმული)	8,490	-
ხელფასის დავალიანების ჩამოწერა (ხანდაზმული)	1,771	
დაბრუნებული საპენსიო ანარიცხი	419	
სულ	10,680	-

მენეჯმენტის შეფასებით ხანდაზმული დავალიანებები აღიარდა სხვა შემოსავალში

20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2019	31.12.2018
ბანკის მომსახურების ხარჯი	3,938	3,701
დაზრვევა	185	
ელექტროენერგიის ხარჯი	192	920
კომუნიკაციის ხარჯები	963	1,028
საკონსულტაციო ხარჯები		2,822
რეკლამის ხარჯები	136	
სამიწვინებო ხარჯი	374	390
სხვა საგადასახადო ხარჯი	14,501	11,041
სხვადასხვა ხარჯი	10,328	11,993
შრომის ანაზღაურება	251,147	225,014
ცვეთა და ამორტიზაცია	61,731	56,888
წყლის ხარჯი	1,887	2,073
ჯამი	345,382	315,870

21. სხვა ხარჯები

	31.12.2019	31.12.2018
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	2,286	-
საეჭვო ვალების რეზერვის ჩამოწერა	66,450	
ავანსად გადახდილი ხელფასის ჩამოწერა	1,891	
სულ	70,627	-

22. საფინანსო შემოსავალი

მოთხოვნამდე დეპოზიტს ერიცხება საპროცენტო სარგებელი 12,5%.

	31.12.2019	31.12.2018
საფინანსო შემოსავალი	17,465	7,450
სულ	17,465	7,450

23. საფინანსო ხარჯი

	31.12.2019	31.12.2018
საპროცენტო ხარჯი	-	3,293
სულ	-	3,293

24. მნიშვნელოვანი ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ასევე გაითვალისწინება მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული მოლოდინები, ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობის მიზნით.

a. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობა შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგისგან.

შეთვასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეთვასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდსათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეთვასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა , და დარწმუნებულია რომ იგი არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეთვასებებისგან, ფინანსური ანგარიშგება განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

ხელმძღვანელობა აფასებს მისაღები დებიტორული დავალიანებების დონეს ისტორიულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. დავალიანების ამოღების რეალური ვადა შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეთვასებებისგან.

ხ. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგები წარსული გამოცდილების და მიმდინარე მოვლენებისა და გარემოებების გათვალისწინებით კვლავ ზრდას განაგრძობს.

25. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

მიმდინარე პერიოდში სახელზე არ მიმდინარეობს არანაირი სასამართლო დავა.

26. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2018-2019 წლებში კომპანიას განხორციელებული აქვს ქვემოთ მითითებული სამეურნეო ოპერაციები

2018 წელი

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შინაარსი	დარიცხული თანხა	ნაშთი 31.12.2018
ლევან გობალიშვილი	ხელფასი	11,548.38	-
შოთა სალარიშვილი	ხელფასი	2,373.65	-
ნიკოლოზ ხარებავა	ხელფასი	19,083.33	-
პეციალური პენიტენციური სამსახური	სოციალურად დაუცველი მსჯავრდებულების ღირებულება პაემნის	64,322	6,420.00
პეციალური პენიტენციური სამსახური	სოციალურად დაუცველი მსჯავრდებულების ღირებულება(აუნაზღაურებელი)		66,450.00

2019 წელი

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შინაარსი	ოპერაციის თანხა	ნაშთი 31.12.2019
ნიკოლოზ ხარებავა	ხელფასი	15,990.85	-
ირმა კაციტაძე	ხელფასი	19,686.95	20.00
პეციალური პენიტენციური სამსახური	სოციალურად დაუცველი მსჯავრდებულების ღირებულება პაემნის	67,398	4,710.00
პეციალური პენიტენციური სამსახური	სოციალურად დაუცველი მსჯავრდებულების ღირებულება(უიმედო მოთხოვნის ჩამოწერა)	66,450.00	-

27. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც

მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ კომპანიის

კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები

წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე

გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების

შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური

პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის

ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიამ შეიძლება შეექმნას სირთულეები

დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას

აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე. ფინანსური აქტივების საბალანსო

ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

ითვალისწინებს მომსახურების ღირებულების გადახდას მომსახურების მიღებამდე,

შესაბამისად დებიტორული დავალიანება ძირითადი საქმიანობის ნაწილში არ წარმოექმნება.

ფინანსური აქტივები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	17,447	78,778
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	197,649	86,949
მისაღები %	2,128	-
გადახდილი ავანსები	10,634	13,499
სულ ფინანსური აქტივები	227,858	179,225.57

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,238	10,670
საგადასახადო დავალიანება	466	2,638
კაპიტალი	1,125,000	1,125,000
გაუნაწილებელი მოგება	2,902	6,296
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,131,607	1,144,604

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018-2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 31.12.2018

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-იდან 5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	78,778.00	-	78,778.00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	86,948.79		86,948.79
გადახდილი ავანსები	13,498.78	-	13,498.78
სულ ფინანსური აქტივები	179,225.57		179,225.57

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-იდან 5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10,670	-	10,670
საგადასახადო დავალიანება	2,638		2,638
კაპიტალი		1,125,000	1,125,000
გაუნაწილებელი მოგება	6,296	-	6,296
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,308	1,125,000	1,138,308

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 31.12.2019

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-იდან 5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	17,447		17,447
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	197,649		197,649
მისაღები %	2,128		2,128
გადახდილი ავანსები	10,634		10,634
სულ ფინანსური აქტივები	227,858	-	227,858

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-იდან 5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,238		3,238
საგადასახადო დავალიანება	466		466
კაპიტალი		1,125,000	1,125,000
გაუნაწილებელი მოგება	6,296	-	6,296
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,001	1,125,000	1,135,000

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი). კომპანიის საბაზრო რისკი მინიმალურია მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ აქვს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტაში არსებული მუხლები შესაბამისად სავალუტო რისკი მინიმალურია

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას

შ.პ.ს „პერსპექტივა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ აქვს მიღებული სესხები და საპროცენტო რისკის გავლენა მასზე მინიმალურია.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია, უზრუნველყოს კომპანიის როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა კომპანიამ შეასრულოს მისი სადამფუძნებლო მიზანი, დამფუძნებლებმა მიიღონ უკუგება და სხვა დაინტერესებულმა მხარემ სარგებელი კომპანიის კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნებით. ამ მიზნით კომპანიამ შესაძლოა განახორციელოს ქმედებები, რომლებიც მენეჯმენტის მიერ იქნება მართებულად მიჩნეული. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წელს.

შენიშვნა 28. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები(სასესხო ინსტრუმენტები), სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით, რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულატიური შემოსაულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით, კომპანიის

ყველა ფინანსური აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში.

ფინანსური აქტივები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	17 447	78 778
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	197 649	86 949
მისაღები %	2 128	-
სულ ფინანსური აქტივები	217 224	165 726.79

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3 238	10 671
სულ ფინანსური ვალდებულებები	3 238	10 671

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 06 მარტს კომპანიაში მოხდა დირექტორის ცვლილება: ირაკლი ხუბაშვილი პ/ნ 01027035101.

არ არსებობს რაიმე სახის შემდგომი მოვლენა, რაც მოითხოვს განმარტებას შენიშვნებში.

30. COVID 19-გავლენა კომპანიაზე

პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით საქმიანობაზე არის ძალიან მნიშვნელოვანი, კომპანიას შემოსავლის ძირითადი წყარო და ამონაგები პრაქტიკულად აღარ აქვს 2020 წლის მარტის თვიდან. აკრძალულია საპატიმრო დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნები, რაც კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

მიმდინარე პერიოდამდე კომპანია ახორციელებდა აკუმულირებული ფულადი რესურსის ხარჯვას, რომლიც ამოწურვის ეტაპზეა, ამ ეტაპზე მენეჯმენტის ინფორმაციით არ არის ცალსახად დადგენილი უახლოესი თვეების პროგნოზი, დამფუძნებელი უზრუნველყოფს თუ არა კაპიტალის შემოანატანს საქმიანობის უწყვეტობის გათვალისწინებით, თუმცა მტკიცედ გვჯერა, რომ მას შემდეგ რაც შესაძლებელი იქნება კოვიდ პანდემიის მართვა, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკაციის

გათვალისწინებით საწარმოს ფუნქციონირება გაგრძელდება ჩვეულ რეჟიმში, აღნიშნული მიზნით არ იქნება კომპანიის საქმიანობის შეწყვეტის წინაპირობა.

პრობლემა არის გლობალური და მენეჯმენტი ამჟამად სრუფასოვნად ვერ პროგნოზირებს კოვიდ პანდემიის გავლენით რა პერიოდის განმავლობაშია შესაძლებელი ამონაგების მინიმალური ოდენობით კომპანიის ფუნქციონირება.

31. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერი.

დირექტორი:

ირაკლი ხუბაშვილი

შპს "პერსპექტივა"-ს ფინანსური ანგარიშგება 2019
 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 წარმოდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31.12.2019

31.12.2018

გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5.00	1,055,658	1,116,711
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>1,055,658</u>	<u>1,116,711</u>
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები	6.00	10,634	13,499
მისაღები პროცენტი	7.00	2,128	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8.00	17,447	78,778
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9.00	15,856	18,604
ფული ანგარიშებზე	10.00	197,649	86,949
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>243,715</u>	<u>197,829</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>1,299,372</u>	<u>1,314,540</u>
კაპიტალი	11.00	1,292,468	1,292,468
გაუნაწილებელი მოგება	11.00	2,902	6,296
<u>სულ კაპიტალი</u>		<u>1,295,370</u>	<u>1,298,764</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები			
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>-</u>	<u>-</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12.00	3,238	10,671
მიღებული ავანსები	13.00	130	195
გადასახდელი ხელფასები	14.00	121	2,273
საპენსიო ანარიცხი	15.00	47	
საგადასახადო ვალდებულებები	16.00	466	2,638
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>4,003</u>	<u>15,776</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>1,299,372</u>	<u>1,314,540</u>

2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნები და ვალდებულებების წარმოდგენილი იყო ურთიერთგადათვრებით, 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული დაკორექტირდა წარმოდგენილია შესაბამის მუხლებში

დირექტორი: ი. ხუბაშვილი
 25 სექტემბერი 2020



შპს "პერსპექტივა"-ს სპეციალური
 დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019
 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხა
 წარმოდგენილია ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

31.12.2019

31.12.2018

შემოსავლები	17	404,917	377,908
თვითღირებულების ხარჯები	18	(19,571)	(36,172)
საერთო მოგება		385,346	341,736
სხვა შემოსავლები	19	10,680	
საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები	20	(345,382)	(315,870)
სხვა ხარჯი	21	(70,627)	
საოპერაციო მოგება		50,644	25,866
საფინანსო შემოსავალი	22	17,465	7,450
საფინანსო ხარჯი	23		(3,293)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		-	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	
მოგება/ზარალი		(2,519)	30,023
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება/ზარალი		(2,518.80)	30,023

დირექტორი: ი.ხუბაშვილი
 25 სექტემბერი 2020




შპს "პერსპექტივა"-ს ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

31.12.2019

31.12.2018

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მომსახურებიდან მიღებული თანხები

469,378

444,713

%-ის შემოსავალი

16,192

7,450

მომწოდებელზე გადახდილი თანხები

(37,330)

(66,517)

ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემი

(198,912)

(178,853)

სოციალური ანარიცხი

(6,594)

გადახდილი გადასახადები

(130,914)

(99,500)

%-ზე გადახდილი თანხები

(3,293)

საბანკო

(319)

(363)

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

111,500

103,637

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები

(800)

(86,138)

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

(800)

(86,138)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხის სახით მიღებული ფულადი სახსრები

სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები

(14,243)

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

-

(14,243)

საკურსო სხვაობის გავლენა ფულად ნაკადებზე

ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში

86,949

83,693

ფულის სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს

197,649

86,949

დირექტორი: ი. ხუბაშვილი

თარიღი: 25.09.2020



შპს "პერსპექტივა" -ს ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხა წარმოდგენილია ლარში

მუხლი:11

	საწესდებო კაპიტალი	მოგება/ზარალი	კაპიტალის შემცირება	სულ
2018 წლის 1 იანვრისთვის	1,339,075	(23,726)		1,315,349
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახრებით				-
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა /შემცირებამაქონილი გზით	(46,607)			(46,607)
მოცემული პერიოდის მოგება/ზარალი		30,022		30,022
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,292,468	6,296	-	1,298,764

დირექტორი: ირაკლი ხუბაშვილი
25 სექტემბერი 2020



შპს "პერსპექტივა"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხა წარმოდგენილია ლარში

მუხლი: 11

	საწესდებო კაპიტალი	მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ
2019 წლის 1 იანვრისთვის	1,292,468	6,296		1,298,764
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით				
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ქონებრივი შენატანით				
მოცემული პერიოდის მოგება/ზარალი		(2,519)		
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,292,468	3,777	-	1,296,245

დირექტორი: ი. ხუბაშვილი
25 სექტემბერი 2020



29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 06 მარტს კომპანიაში მოხდა დირექტორის ცვლილება: ირაკლი ხუბაშვილი პ/ნ 01027035101.

არ არსებობს რაიმე სახის შემდგომი მოვლენა, რაც მოითხოვს განმარტებას შენიშვნებში.

30. COVID 19-გავლენა კომპანიაზე

პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით საქმიანობაზე არის ძალიან მნიშვნელოვანი, კომპანიას შემოსავლის ძირითადი წყარო და ამონაგები პრაქტიკულად აღარ აქვს 2020 წლის მარტის თვიდან. აკრძალულია საპატიმრო დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნები, რაც კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

მიმდინარე პერიოდამდე კომპანია ახორციელებდა აკუმულირებული ფულადი რესურსის ხარჯვას, რომლიც ამონურვის ეტაპზე, ამ ეტაპზე მენეჯმენტის ინფორმაციით არ არის ცალსახად დადგენილი უახლოესი თვეების პროგნოზი, დამფუძნებელი უზრუნველყოფს თუ არა კაპიტალის შემოანატანს საქმიანობის უწყვეტობის გათვალისწინებით, თუმცა მტკიცედ გვჯერა, რომ მას შემდეგ რაც შესაძლებელი იქნება კოვიდ პანდემიის მართვა, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკაციის

გათვალისწინებით საწარმოს ფუნქციონირება გაგრძელდება ჩვეულ რეჟიმში, აღნიშნული მიზიზი არ იქნება კომპანიის საქმიანობის შეწყვეტის წინაპირობა.

პრობლემა არის გლობალური და მენეჯმენტი ამჟამად სრუფასოვნად ვერ პროგნოზირებს კოვიდ პანდემიის გავლენით რა პერიოდის განმავლობაშია შესაძლებელი ამონაგების მინიმალური ოდენობით კომპანიის ფუნქციონირება.

31. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერი.

დირექტორი:

ირაკლი ხუბაშვილი

